საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს 2013 წლის ანგარიში

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 30 იანვრის №1 ბრძანების თანახმად, სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში განხორციელდა სისტემატიზებული სახით საკანონმდებლო აქტების გაცნობის საფასურის გაუქმება, რაც მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდის მეშვეობით გაეცნოს სისტემატიზებული სახით მოქმედ და ძალადაკარგულ საკანონმდებლო აქტებს.

2012 წელს შემუშავებული და დანერგილი სიახლის გათვალისწინებით, 2013 წლიდან, მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, დამატებითი მომსახურების სახით საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდს დაემატა offline საძიებო სისტემა, რაც საშუალებას აძლევს მომხმარებელს, ინტერნეტთან წვდომის გარეშე ისარგებლოს საკანონმდებლო მაცნეს სრული ბაზით და მოიძიოს მისთვის სასურველი ნებისმიერი სამართლებრივი აქტი.

2013 წლიდან ხორციელდება ვებგვერდზე საქართველოს მთავრობის განკარგულებების გამოქვეყნება.

2013 წლიდან აღდგენილ იქნა ნორმატიული აქტებისა და სხვა იურიდიული ლიტერატურის ბეჭდური სახით გამოცემა.

2013 წლიდან ნებისმიერ რეგისტრირებულ მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებულ კანონპროექტებზე, აგრეთვე საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე განთავსებულ ნებისმიერ ნორმატიულ აქტზე გააკეთოს კომენტარი, გამოთქვას საკუთარი შეფასება/მოსაზრება და გაეცნოს და გამოეხმაუროს სხვა მომხმარებლის კომენტარს.

2013 წლიდან დაიწყო და მიმდინარე წელს აქტიურად მიმდინარეობს საქართველოს ნორმატიული აქტების ინგლისურ ენაზე თარგმნა და მათი სისტემატიზებული სახით ვებგვერდზე განთავსება.